საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, ოზაკომი (Особый Закавказский Комитет), დროებითი მთავრობის ორგანო ამიერკავკასიაში.

შეიქმნა 1917 წ. 9(22) მარტს თბილისში. მის შემადგენლობაში შევიდნენ IV სახელმწ. სათათბიროს ამიერკავკ. დეპუტატები: კადეტები – ბ. ხარლამოვი (თავ-რე) და მ. პაპაჯანოვი, მუსავატელი მ. ჯაფაროვი, სოციალისტ-ფედერალისტი კ. აბაშიძე, მენშევიკი ა. ჩხენკელი.

ოზაკომი ნიშნავდა სამაზრო და საგუბერნიო კომისრებს, რ-ებიც მას ემორჩილებოდნენ. თანამშრომლობდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ამიერკავკ. ორგანოებთან, სადაც უმრავლესობას მენშევიკები და ესერები შეადგენდნენ. ხელს უწყობდა დროებით მთავრობას შეტევითი ოპერაციები ეწარმოებინა კავკ. ფრონტზე. ორხელისუფლებიანობის პირობებში, ესერულ-მენშევიკურ საბჭოებთან მჭიდრო თანამშრომლობის მიუხედავად, ა. გ. კ-ს თავი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ მიაჩნდა და „ვეტოს“ უფლებისათვის იბრძოდა.

1917 ოქტ., რუსეთში დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ, ა. გ. კ-ს არსებობის ფორმალური საფუძველი გამოეცალა.

1917 წ. 15 (28) ნოემბ. იგი დაიშალა და რწმუნებანი ამიერკავკასიის კომისარიატს გადასცა.

ლიტ.: ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები, ნაწ. 1, თბ., 1971; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ა., ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917–1921), თბ., 1954.

ა. სურგულაძე